№ 2190
F 89 / 1868
1.17-22. 24-25. 32-33. 36-38. 42.
F 89 / 1868

სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

ხაზინით ტფილისში
ყოველ კვარტალში ადგილებში: — 7 მან. — 4 — — 2 — 50 კ.
ერთ წლისა — 7 მან. — 4 — — 2 — 50 კ.
ორ თვისა — 2 მ. 50 კ.

ГАЗЕТА ВЫХОДИТЬ ПЕРЕСТАЛА.

ПЕРВОЕ ПОЛУГОДИЕ.

ГАЗЕТА ВЫХОДИТЬ ПЕРЕСТАЛА

гражданскія дѣла, когда искъ простирается не свыше 100 р. и не относится до недвижимаго имѣнія; уголовныя дѣла онъ рѣшаетъ окончательно въ томъ случаѣ, когда опредѣляемое имъ наказаніе не превышаетъ трехъ дней ареста или денежнаго взысканія въ 100 р. сер. Во всѣхъ остальныхъ случаяхъ на рѣшенія Мироваго Судьи могутъ быть приносимы жалобы въ Окружные Суды.

5.) Окружные Суды разсматриваютъ и рѣшаютъ окончательно всѣ жалобы на Мировыхъ Судей; сверхъ сего Окружные Суды разбираютъ на правахъ первой степени суда всѣ гражданскія и уголовныя дѣла, превышающія вѣдомство Мироваго Судьи.

6.) По всѣмъ дѣламъ, разбираемымъ Окружными Судами на правахъ первой степени суда, могутъ быть приносимы жалобы въ Судебную Палату, которая постановляетъ по этимъ жалобамъ окончательное рѣшеніе.

7.) Въ случаяхъ явнаго нарушенія прямаго смысла законовъ могутъ быть приносимы жалобы и на окончательныя рѣшенія. Въ этихъ случаяхъ жалобы на окончательныя рѣшенія Мировыхъ Судей и Окружныхъ Судовъ приносятся Судебной Палатѣ, а на окончательныя рѣшенія Судебной Палаты—Кассаціоннымъ Департаментамъ Правительствующаго Сената.

8.) Межевыя дѣла подчиняюся общимъ вновь открываемымъ судебнымъ учрежденіямъ съ тѣмъ, что обязанности, лежавшія на Закавказской Межевой Палатѣ, возлагаются на Тифлисскую Судебную Палату, а тѣ, кои лежали на Межевыхъ Коммисіяхъ-на Окружные Суды.

9.) Общій надзоръ за судебными установленіями и должностными лицами судебнаго вѣдомства Закавказскаго края сосредоточивается въ лицѣ Намѣстника Кавказскаго на правахъ Министра Юстиціи.

Новыя учрежденія Закавказскаго края, какъ правительственныя, такъ и судебныя, открываютъ свои дѣйствія 19 сего Февраля, въ радостный для всѣхъ вѣрноподданныхъ день восшествія на престолъ АВГУСТЕЙШАГО нашего ГОСУДАРЯ.

Объявляя о семъ всеобщее свѣдѣніе, Я могу выразить твердую надежду, что дарованныя ВСЕМИЛОСТИВѢЙШИМЪ ГОСУДАРЕМЪ ИМПЕРАТОРОМЪ Закавказскому краю учрежденія успѣютъ осуществить на дѣлѣ цѣль, указанную имъ Державною Волею: доставить народу полное огражденіе въ его личныхъ и имущественныхъ правахъ, развить и упрочить матеріальное и нравственное его благосостояніе.

Подписалъ: Намѣстникъ Кавказскій,

Генералъ-Фельдцейхмейстеръ *МИХАИЛЪ*.

19-го Февраля 1868 года.

ოფიციალური ნაწილი.

აღიდა რა მამა-პაპათა ტახტზედ **ყოვლად მოწყალე ხელმწიფე** ჩვენი, **მისა დიდებულებამან** 19-ს მარტის 1856 წლის მანიფესტში საყოველთაოთა ბრძანა: „სიმართლე და ლმობიერება მეუფებდეს სასამართლოთა შინა."

რათა ესე განზრახვა აღსრულებულიყო სამოსამართლო ნაწილის უკეთესის გაწყობითა, შედგენილ იქმნენ სამოსამართლო წესდებულებანი, რომელნიცა **ხელმწიფე იმპერატორმა** ჰპოვა თან ხმად **მისის დიდებულების** სურვილისა, რომ დაფუძნდეს რუსეთში სამართალი სწრაფი, მართალი, ლმობიერი და თანასწორი ყოველთა **მისთა** ქვეშევრდომთათვის.

ესე წესდებულებანი, ვითარცა საერთო მრთელის იმპერიისათვის კანონები, გარდმოეცნენ კავკასიის აქეთ მხარესაცა ზოგიერთის ცვლილებითა, რომელსაცა მოითხოვდა აქაური ხალხის ადგილობრივი საჭიროება.

სამოსამართლო ნაწილის დაწყობილებასთან ერთსა და იმავე დროს მოხდა მთავრობითისა და პოლიციის დაწესებულებაების ცვლილებაცა.

ვითარება ამა ახალთა კანონდებულებათა არის შემდეგი:

1.) კავკასიის აქეთის ოთხი გუბეერნიის მაგიერად, რომელნიც დღეს არიან, ესე იგი: ტფილისისა, ქუთაისისა, ბაქოსი და ერევნისა, კეთდება ხუთი—ელისავეტპოლის (განჯის) ახალი გუბერნიის დაწესებითა.

ტფილისის გუბერნიას შეადგენს ექვსი მაზრა (უეზდი): ტფილისისა, გორისა, თელავისა, სიღნაღისა, დუშეთისა და ახალციხისა.

ქუთაისისას—შვიდი მაზრა: ქუთაისისა, შორაპნისა, რაჭისა, ოზურგეთისა, ზუგდიდისა, სენაკისა და ლეჩხუმისა.

ელისავეტპოლისას—(განჯისას) ხუთი მაზრა: ელისავეტპოლისა (განჯისა), ყაზახისა, შუშისა (ყარაბაღისა), ზანგეზურისა და ნუხისა.

ბაქოსას—ექვსი: ბაქოსი, ყუბისა, შამახიისა, გოქჩისა, ლანქარანისა და ჯავათისა.

ერევნის გუბერნიას შეადგენს ხუთი მაზრა: ერევნისა, ეჩმიაძინისა, ალექსანდროპოლისა (გუმრისა), ნახჩევნისა და ახალბაიაზეთისა.

2.) ყოველივე გუბერნია უწინდელებრ მიენდობა გუბერნატორისა და გუბერნიის სამართველოს მართველობასა, ყოველივე მაზრა—მაზრის გამგებელის მართველობასა. გუბერნიის ქალაქებში: ტფილისში, ქუთაისში, ელისავეტპოლში (განჯაში), ერევანში და პორტის ქალაქში ფოთში დაწესდებიან განსაკუთრებითი საქალაქო პოლიციები, რომელთაც მაზრის სამართველოზედ დამოკიდებულება არ ექმნებათ. შემდეგ ამისა მაზრის სადიამბეგო განყოფილებანი და დიამბეგების თანამდებობანი მოიშლებიან; ხოლო უკანასკნელ დროს მოქმედებაში შესულნი სოფლის საზოგადო სამართველონი რჩებიან მომავალის დროსათვისაც შეუცვლელად.

გუბერნიის და მაზრის სამართველონი, აგრეთვე საქალაქო პოლიციები ახალის დაწყობილების ძალითა, განთავისუფლდებიან სამ რთლის წარმოებისა და გამოძიების მოვალეობისაგან, და შემდეგ ამისა, ესე დაწესებულებანი მიიქცევიან თავის უმეშველოდ-სწორე მნიშვნელობისადმი, რომელიც არის საზოგადო მშვიდობიანობისა და უშიშროების დაცვა, დანაშაულობაების წინდასწრობითი-განრინება და ხალხის კეთილმდგომარეობისათვის მზრუნველობა.

3.) კავკასიის აქეთ მხარეში სამოსამართლო დაწესებულებათა შეადგენენ:

მომრიგებელი მოსამართლე (მიროვოი სუდია)—ყოველის სამოსამართლო ნაწილისათვის ცალკედ;

ოლქის სასამართლო (ოკრუჟნოი სუ-

დი)—თვითოეულის გუბერნიისათვის ცალკედ; და

სასამართლო პალატი (სუდებნაია პალატა)—მთელის მხარისათვის საერთოდ.

მომრიგებელის სამოსამართლო ნაწილს შეადგენს მაზრა და მასში მდებარე ქალაქები და დაბები. გუბერნიის ქალაქნი, ბაქოს გარდა, შეადგენენ განსაკუთრებითთა მომრიგებელის სამოსამართლო ნაწილთა. პირველს დროში შუშის (ყარაბაღის) მომრიგებელ მოსამართლეს მიენდობა განმგეობა ზანგეზურის სამოსამართლო ნაწილისაცა, შამახიის მომრიგებელ მოსამართლეს—გოქჩის ნაწილისა, ლანქარანისას—ჯავათის ნაწილისა, ელისავეტპოლისას (განჯისას)—ელისავეტპოლის (განჯის) საქალაქო ნაწილისა.

4.) მომრიგებელმა მოსამართლემ უნდა გაარჩიოს: ყოველი სამოქალაქო საქმე მოძრავისა და უძრავი ქონების თაობაზე, რომელთა ღირეულობაცა ორას თუმანს არ აღემატება; სამოქალაქო საქმენივე დაჩემებით დაპატრონებისა და პირადის შეურაცხების თაობაზე, და დასასრულ ყოველივე სასიხლო-სამსჯავრო საქმენი იმ დანაშაულობაების თაობაზე, რომელთათვისაც კანონში დაწესებული არ არის იმისთანა სასისხლო სასჯელი, რომელსაც მოსდევს ჩამორთმევა და შეიწროება წოდების უფლებათა. ამასგარდა მომრიგებელი მოსამართლისა და იმისი თანაშემწეების მოვალეობაა ყოველ სასისხლო-სამსჯავროს საქმეებზე გამოძიება მოახდინონ, აგრეთვე ობლების მეურნეობის განმგეობადა ოქმების შესრულება და შემოწმება იმ ადგილებში, სადაც განსაკუთრებითი ნოტარიუსები არ არიან.

„ძიებანი სოფლელთა გლეხთა შორის უწინდელებრ განიგებიან იმათ საკუთარს სასამართლოებში.“

მომრიგებელი მოსამართლე დაბოლოებითად სწყვეტს ყოველს სამოქალაქო საქმესა, როდისაც ძიების ღირეულობა ათ თუმანს არ აღემატება და არ შეეხება უძრავს ქონებასა სასისხლო—სამსჯავრო საქმეებს იგი სწყვეტს დაბოლოებითად იმ შემთხვევაში, როდისაც მისგან დანიშნული სასჯელი სამის დღის დაჭერას (არესტს), ან ათის თუმნის ფულად გადახდევინებას არ აღემატება. ყოველს დანარჩენს შემთხვევაში კი მომრიგებელი მოსამართლის გარდაწყვეტილობაზე საჩივარი შეიძლება ოლქის სასამართლოში (ოკრუჟნოი სუდში) შეიტანებოდეს ხოლმე.

5.) ოლქის სასამართლომ უნდა განიხილოს და დაბოლოებითად გადასწყვიტოს ყოველსაჩივარი მომრიგებელ მოსამართლეებზე; ამას გარდა ოლქის სასამართლომ, ვითარცა სამართლის პირველმა ინსტანციამ, უნდა განარჩიოს ყოველივე სამოქალაქო და სასიხლო—სამსჯავრო საქმე, რომელიც მომრიგებელიოსამართლის განმგეობაზედ აღმატებულია.

6.) ყოველი საქმის თაობაზედ, რომელიც ოლქის სასამართლოში პირველი ინსტანციის უფლებისა მებრ განიხილვება, შეიძლება შეიტანონ საჩივარი სასამართლო პალატში, და პალატი ამ გვარ საჩივარს დაბოლოებითად გადასწყვეტს.

7.) იმ შემთხვევაში, როცა ცხადათ დარღვეულ იქმნება კანონის ნამდვილი მნიშვნელობა, მაშინ შეიძლება საჩივარი დაბოლოებითს გარდაწყვეტილობაზედაც; ამ შემთხვევაში საჩივარი მომრიგებელ მოსამართლესა და ოლქის სასამართლოს დაბოლოებითს გარდაწყვეტილობაზედ უნდა წარედგინოს სამოსამართლო პალატში, ხოლო პალატის დაბოლოებითს გარდაწყვეტილობაზედ—მართებელის სენატის საკასსაციო დეპარტამენტში.

8.) გამიჯნავების საქმენი გარდაიცემიან ახალს საზოგადო სამოსამართლო დაწესებულებაებში ასე, რომა კავკასიის აქეთის გამიჯნავების პალატის მოვალეობა დაედება ტფილისის სასამართლო პალატსა, ხოლო გამიჯნავების კამმისიებისა—ოლქის სასამართლოსა.

9.) კავკასიის აქეთ მხარეში სამოსამართლო დაწესებულებათა და სამართლის განმგეობის თანამდებთა პირთა ზედა საერთო ზედამხედველობა ხელთ ეპყრობა კავკასიის მთავარმართებელს იმ უფლებითა, რომელიც საიუსტიციო მინისტრისათვის მინიჭებულია.

ახალნი დაწესებულებანი, როგორც მთავრობითი, ისე სამოსამართლოებითი, თვის მოქმედებას დაიწყებენ ამ 19-ს თებერვალს, ამ ყოველთა ერთგულთა ქვეშევრდომთათვის სასიხარულოს დღესა **უავგუსტესის** ჩვენის **ხელმწიფის** ტახტზედ აღსვლისასა.

გამოგიცხადებთ რა ამას საყოველთაო საცნობელად, მე უნდა წარმოვსთქვა ჩემი მტკიცე იმედი, რომ დაწესებულებანი **ყოვლადმოწყალე ხელმწიფისაგან** კავკასიის აქეთ მხარისათვის მონიჭებულნი შესძლებენ საქმით არსებაში მოიყვანონ იგი დანიშნულება, რომელიც თვით **ხელმწიფე იმპერატორის** ნებას განუსაზრავს, სახელდობრ: მიეცეს სრულიადი მფარველობა ერსა და მისთა პირადთა და ქონებითთა უფლებათა, განევრცოს და დაემტკიცოს მას ნივთიერი და ზნეობითი კეთილმდგომარეობა თვისი.

ხელ-მოწერილია: კავკასიის ნამესტნიკი,
გენერალ-ფელცეიხმეისტერი **მიხაილი**.

19-ს თებერვალს 1868 წელსა.

ნაწილი არა ოფიციალური.

ტფილისი, 19 თებერვალს.

ცხრამეტი თებერვალი დიდი დღე შეიქნა ჩვენი ქვეყნისთვის. ამ დღეს ხელმწიფე იმპერატორი აღვიდა რუსეთის ტახტზე და ადიდა თავის სახელი იმითი, რომ შეუმსუბუქა თავის ხალხს გაჭირვებული მდგომარეობა. ძველიდგანვე დაწესებულმა ბატონ-ყმობამ ხალხი შეაწუხა. ამ წესმა შეავიწროვა გლეხის ცხოვრება. გლეხი იმდენს რას შეიძენდა, რომ თავის თავიც ერჩინა და ბატონიცა. ამის გამო ორივე გაჭირვებულათ ცხოვრობდნენ და არ იყვნენ ერთმანეთის კმაყოფილი, იმათში არ იყო იმისთანა სიყვარული, როგორიც ამიერითგან დამყარდება. იმ დროს არც კარგი ცხოვრება ჰქონდათ. გლეხების კეთილ-მდგომარეობისთვის ხელმწიფე იმპერატორის სურვილი მებატონეთა აასრულეს: უწინდელი ბატონ-ყმობა გაუქმდა; ამის მაგიერათ ინება ხელმწიფემ, რომ ახალი წესი შემოსულიყო. მებატონეს ჰხვდა იმდენი სარჩო იმის უწინდელ გლეხისგან, რამდენიც კანონით ერგებოდა თავის მიწაში, რომელიც გლეხს სამუშაოთ უჭირავს. გლეხსაც ძალიან შეუმსუბუქა თავისი მდგომარეობა იმითი, რომ რაც კანონით არ ერგებოდა, მებატონეს მეტის თხოვნის ნება არ მისცა. ამითი გლეხის მდგომარეობაც გაამჯობინა და ბატონსაც მოაფიქრებინა სამართლიანათ მოქმედება და შრომა თავის თავის გასამდიდრებ-

ლათ. აი ამისთანა მდგომარეობის წინასწარ მეტყველი შეიქნა ჩვენთვის ცხრამეტი თებერვალი. ამ დღეს გაუქმდა რუსეთში უწინდელი ბატონ-ყმობა და ჩვენც გვიწინასწარმეტყველა ცუდი ძველი წესის გადავარდნა. ცხრამეტს თებერვალს გამოცხადდა სამეგრელოში უწინდელი ბატონ-ყმობის გაუქმება.

ცხრამეტი თებერვალი კიდევ უფრო იმითი შეიქნა ჩვენთვის სადღესასწაულო, რომ ამ დღემ მოგვიტანა კარგი სამართალი. ერნო გამხიარულდით! ცხრამეტმა თებერვალმა შეგძინათ ასეთი სამართალი, რომელიც ძალიან მალე გადასწყვეტს სადავო საქმეებს, როგორც უწინ იყო, ისე აღარ გაცდევინებსთ ამ სიტყვების თქმითა: „დღეს, ხვალ, დღეს ხვალ!“ არც ხარჯს მოგცემსთ და ბევრს დროსაც აღარ დაგაკარგვინებსთ სადავო საქმეების გადაწყვეტაში.

უწინ ასე იყო დაწყობილი, რომ სამართლის გამჩენი, დანაშაულობის გამომძიებელი მმართველი და საზოგადო კეთილ დღეობის მზრუნველი სულ ერთი და იგივე კაცები იყვნენ. ბამგებლობა და მოსამართლობა ერთიერთმანეთში იყო შერეული.

ყოველ-ს განათლებულს მხარეში პოლიციის მოვალეობა ის არის, რომ ხალხის კეთილ დღეობაზე იზრუნოს, ყოველთვის თვალ-ყური ეჭიროს, რომ რამე უწესობა, დანაშაულობა, ან ბრალეულობა არა მოხდეს რა ხალხში, და თუ მოხდება, მაშინვე სასამართლოებს შეატყობინოს, რომ სასამართლომ შესაფერი დასჯა განუწესოს დამნაშავესა. ამას გარდა პოლიციის მოვალეობაა, რომ ხალხის სიმრთელისათვის იზრუნოს, ცუდს მოსაელიანს წყლიწადში უმაღლესს მთავრობას შეატყობინოს და გაჭირვებული მდგომარეობა შეუმსუბუქოს ხალხსა; გზები უნდა აკეთებინოს, რომ ხალხში აღებ-მიცემობა და ვაჭრობა გადიდდეს, აგრეთვე სახელმწიფო ხარჯიც უნდა ჰკრიფოს. ამდენი საქმის ასრულება, რასაკვირველია, პოლიციისათვის საკმაო უნდა ყოფილ იყო და მეტს ვეღარც კი იკისრებდა; მაგრამ უწინდელის წესით ამდენს საქმესთან სხვა საქმეც ბევრი ჰქონდა მინდობილი პოლიციასა; მაგალითად: სასამართლო თვითონ არ მოახდენდა გამოძიებას, არც წერილს სადავო საქმეებს სწყვეტდა და თუ დიდ სადავო საქმეებს გადწყვეტდა, უსათუოთ ამ გადაწყვეტილობის ასრულებასაც პოლიციას მიანდობდა; ასე რომ დანაშაულობის გამოძიებაც პოლიციას უნდა მოეხდინა, წერილი დავაც პოლიციას უნდა განესაჯა და სასამართლოს ყოველგვარი გადაწყვეტილობაც იმას უნდა აესრულებინა. ამდენი საქმის რიგიანათ კეთება შეუძლებელი იყო პოლიციისათვის და მართლაც საქმეების წარმოება კარგათ ვერ მიდიოდა. პოლიცია თავის საკუთარ საქმეებშიაც იყო მომცდარი და მინდობილს საქმეებსაც აგვიანებდა და ღონეც არ ჰქონდა კარგათ აესრულებინა. მომჩივრებს დიდხანს არ ელირსებოდა სამართალი, ზოგი მოდავე თითქმის სულაც ვერ მიიღებდა თავის საჩივარზე პასუხსა, ასე რომ ძალა უნებურათ საჩივრისთვის თავი უნდა დაენებებინა. მთავრობამ შენიშნა, რომ ამ ნაირი დაწყობილებით ხალხს არ ეძლეოდა რიგიანი სამართალი და ამის გამო შეუდგა კარგი სამართლის მოცემასა. საუკეთესო სამოსამართლო დაწესებულება ის არის, რომელიც სამართლიანათ გადასწყვეტს ყოველგვარს დავას და რაც შეიძლება მალე გაასამართლებს მოდავეს და პასუხის მგებელს. ამ აზრით პოლიციას მოაშორა იმისთანა საქმეები, რომლის წარმოებაც იმის მოვალეობა არ უნდა ყოფილიყო და ყველა ამ გვარი საქმეები სამოსამართლო დაწესებულებას მიასაკუთრა. ამით პოლიციას გაუადვილა საკუთარი მოვალეობის ასრულება. დანაშაულობის გამოძიება, სადავო საქმეების გამოკვლევა, წერილ საქმეების გადაწყვეტა და სასამართლოს გადაწყვეტილობის ასრულება, სულ ყველა ამ გვარი მოვალეობა გადაეცა სამოსამართლო დაწესებულებასა, გარდა იმ საქმეებისა, რომლების გადაწყვეტა სოფლის სასამართლოსა აქვს მინდობილი. ახალი სამოსამართლო ნაწილის ღირსება ის არის, რომ აქ საქმის გაჩხრეკა და დავის გასამართლება უფრო სიტყვიერათ მოხდება და სახალხოთ. ყოველგვარს სადავო საქმის დიდსა და პატარას, აგრეთვე ყოველგვარს დანაშაულობას, გარდა იმისა რაც სოფლის მოსამართლეებს (სუდიებს) აქვთ მინდობილი, განიხილვენ ეს ეს სამოსამართლო დაწესებულებანი: მომრიგებელი მოსამართლე, ოლქის (სამაზრო) სასამართლო, სასამართლო პალატა. ჩვენში მომრიგებელს მოსამართლეს ჰყავს ერთი ან ორი თანაშემწე. აგრეთვე სეკრეტარი და თავის კანცელარია. ამას გარდა პრისტავები, ან ჩვენებურათ ბოქოულები, რომლების მოვალეობაც ის იქნება, რომ ყოველ გვარი განჩინება ასრულებაში მოიყვანონ. თანაშემწეებს მიენდობა ყოველ გვარი გამოძიება. მომრიგებელი მოსამართლე დაბოლოვებით გადასწყვეტს იმისთანა სადავო საქმეებს, რომლის ფასიც ასს მანეთზე მეტი არ არის. დაბოლოვებითი ჰქვია იმ გვარ გადაწყვეტილობას, რომელზედაც აპელაციის შეტანა არ შეიძლება. მომრიგებელი მოსამართლე იმ სადავო საქმეებსაც გაასამართლებს, რომელნიც ასს მანეთზე მეტათ ღირს ორი ათას მანეთამდის. მაგრამ ამ სადავო საქმეების გადაწყვეტილობაზე შეიძლება აპელაციის შეტანა სამაზრო სასამართლოში, თუ რომ მოდავე არ გახდება კმაყოფილი ამ გადაწყვეტილობაზე. ყოველს უეზდში იქნება თითო მომრიგებელი მოსამართლე და ყოველს გუბერნიაში თითო ოლქის (სამაზრო) სასამართლო. ოლქის (სამაზრო) სასამართლო განიხილავს ყველა სადავო, საქმეებს, რომელნიც ორიათას მანეთზე შეტათ ღირს, ყოველი გვარი დანაშაულობა, რომლისთვისაც კანონში დადებულია სასჯელათ ახდა, ან შემცირება წოდების სიმართლეთა, განიხილება ოლქის სასამართლოში. სხვა უფრო მცირე დანაშაულობა განისჯება მომრიგებელს მოსამართლესგან. მომრიგებელი მოსამართლე დაიწყებს საქმის გაჩხრეკას, მაშინ როდესაც ვინმე იჩივლებს იმ ზარალისთვის, რომელიც სხვა კაცს იმისთვის მიუყენებია: როდესაც პოლიცია, ან თუ სხვა სამმართველოს დაწესებულება აცნობებს იმას უწესობის მოხდენას. მომრიგებელი მოსამართლე მაშინაც შეუდგება საქმის გაჩხრეკას, როდესაც თვითონ ნახავს რასმე დანაშაულობას ან უკანონო მოქმედებას.

მოჩივარს შეუძლიან იჩივლოს გინდ არზით, გინდა სიტყვიერათ. მომრიგებელი მოსამართლე მოუწოდებს დამნაშავეებს და მოწმებს უწყებით, თუ ისინი არ გამოცხადდნენ, შტრაფი გადახდებათ; თუ რომ შესაწყნარებელი მიზეზი არ წარმოადგინეს. როდესაც ვისმე მიუტანენ მომრიგებელ მოსამართლის უწყებასა, იმან უნდა დანიშნოს უწყებაზე დრო, როდესაც მიუღია ეს უწყება, მეორე ამისთანა უწყებაზე უნდა ხელი მოაწეროს მიმღებელმა და ზედაც უნდა იყოს დანიშნული ვის ან როდის მიეცა ისა. ამ მეორე უწყებას უკანვე მომრიგებელს მოსამართლეს მოუტანენ:

როდესაც პასუხის მგებელი და დასახელებული მოწმები მოვლენ მომრიგებელს მოსამართლესთან, მაშინ ის დაიწყებს სიტყვიერათ და სახალხოთ საქმის განხილვასა. მომრიგებელი მოსამართლე დაუწყებს მოჩივარს და პასუხის მგებელს კითხვასა და იმათ პასუხისამებრ და მოწმების ჩვენებისამებრ იქვე გადასწყვეტს სადავო საქმეებსა, ანუ დანაშაულობისათვის სასჯელსა, ამისთვის ყოველი მოჩივარი და პასუხის მგებელი იმას უნდა ცდილობდეს, რომ რიგიანი და აზრიანი პასუხი მისცეს, რომ უბრალო და გაუგებარი ლაპარაკით გასამართლება არ დააგვიანოს.

ახალი სასამართლო დაწესებულება იმითია ძალიან კარგი, რომ გასამართლება, როგორც ზემოთ ვთქვით სიტყვიერათ მოხდება: მიწერ-მოწერა ძალიან შემცირებულია და ამით ძალიან ჩქარა ეღირსება სამართალი მოჩივარსა. ამას გარდა ყოველგვარი საქმე თითქმის მომრიგებელს სასამართლოში და ოლქის სასამართლოში გადასწყდება. ამ გვარი დაწყობილებით კიდევ უფრო დაჩქარდება ხოლმე სადავო საქმეების გათავება და დანაშაულობისთვის დასჯა.

ძველს დაწყობილებაში სიტყვიერათ საქმის განხილვა არ იყო, ყოველი სადავო საქმე მიწერ-მოწერით დაიწყებოდა. ჯერ განიხილავდა მდივანბეგი, შემდეგ შეიძლებოდა საქმე გადატანილიყო უეზდის სასამართლოში, იქიდგან სამსჯავრო პალატაში, მერე სენატში მერე სახელმწიფო რჩევაში. იქიდგან წამოვიდოდა რაიმე გადაწყვეტილობა და ისევ იმ გზით უნდა ემგზავრა. ამისთანა დაწყობილება თუმცა სამართლისთვის კარგი იყო, მაგრამ რათ გინდა ზოგჯერ სამართალი დიდხანს ვერ ეღირსებოდა კაცსა და იყო დაყოვნებული. ცხრამეტს თებერვლის შემდეგ ჩვენს მხარეს მიეცემა ისეთი სასამართლო დაწესებულებანი სადაც საქმის განხილვა მოხდება სიტყვიერად სახალხოთ და მალე გადაწყდება. ეს ჩქარი სამართალი მუშა კაცს მუშაობაზე არ მოაცდენს, უწინ რომ არზის მწერლებს ფულს აძლევდნენ, ამისთანა ხარჯი ამიერიდგან აღარ მოუვათ. კარგათ გადაწყდება, თუ ცუდათ, მალე ხომ მაინც გადაწყდება და ეს აღარ ჩააგდებს საწყალს მოჩივარს სასოწარკვეთილებაში, რომელშიაც უწინ ვარდებოდა და სანამ საქმე არ გადაწყდებოდა, თავის სახლობას აღარ არგებდა. მაშ, ერნო, მოგილოცავთ კარგს ახალს სასამარლო დაწესებულებას, რომელიც დაამყარა მთავრობამ ქვეყნის საკეთილდღეოთ!

სამეურნეო ცნობანი.

გოგირდის კარგი მოქმედება ყურძენზე. სანამდის ვაზს ნაცარი გაუჩნდებოდეს, მინამ რომ ვაზზე გოგირდის ნაფხვენით მოსვარო, მერე უფრო კარგს ფურცელსაც გამოსცემს, უფროც მოისხამს, ადრე და უკეთაც დამწიფდება; ნაცარიც ხომ სრულებით გაუქრება. ამისთანა ცდამ მოაფიქრებინა იმ ფრანცუზსა, რომელიც ამ ამბავს იწერება, რომ გოგირდი მიწის გასანოყიერებლათაც ეხმარა ვენახებში. როგორც კი გოგირდი შეაზავა მიწაში, ერთი კვირეც არ გასულა, მას უკან რომ ყურძნის ვაზები თითქოს გაცოცხლდნენო, ისეთ ნაირათ შეიმოსნენ ფოთლებითა და აყვავდნენ. გოგირდის მოყრასა კარგი მოქმედება აქვს აგრეთვე აყვავებაზე და განაყოფიერებაზედაც. რომელი ვაზიც გოგირდ-მოყრილი იყო, იმაზე დამწიფებული ყურძნის თვლები არ ვარდებოდა, უწინდელზე ორი კვირით ადრე მწიფდებოდა ყურძენი და თვითონ ყურძნის მტევნებმაც იკეთეს.

ვაზზე რომ ნაცარია მიყრილი, ის არის სოკო, რომელსაც სწავლულები ეძახიან **ოიდიუმ-ტუკკერისა**. იზრდება ვაზზე, როგორც მცენარის მკბენარი, რომელიც სწოვს ვაზის წვენს, აშრობს და ნაყოფს უფუჭებს. შენიშნულია, რომ როცა ნოტიო ამინდია, იმ წელიწადს უფრო მრავლდება ეს სოკო და უფრო აფუჭებს ყურძენსა; როცა მშრალი ამინდია, იმ წელიწადს უფრო არ არის. ამა მავნებელს სოკოს უყვარს ნოტიო ამინდთან თბილი ჰავაცა, ასე რომ თუ ძალიან ცივი ზამთარი დადგა, მაშინ უფრო ცოტა ნაცარს აყრის ვაზსა. როგორც ზემოთა ვთქვით, ნაცრისგან არჩენენ გოგირდითა, მაგრამ გოგირდი წმინდათ დანაყილი უნდა იხმარონ კაცმა, ესე იგი გოგირდის ნაფხვენი. მუჭით რომ მოაყარო, რასაკვირველია, ძალიან ბევრი გოგირდიც დაიხარჯება და ვერც კარგათ მოაყრი. ამისთვის ევროპაში მოიგონეს პატარა უჯრები გოგირდის ნაფხვენის მისაყრელი. ზოგიერთს უჯრას მაგალითათ გიჩვენებთ. ჩვენს მებატონეებს კიდეც ენახებათ, რადგან 1860 წელსა სამეურნეო საზოგადოების დეპოში ტფილისს საგანგებოთ იყო მოტანილი და ჰყიდდნენ. რასაკვირველია გლეხებს სად ექნებათ იმდენი მოხერხება, რომ ამისთანა უჯრები მოიპოვონ და სცადონ გამოდგება, თუ არა. რა კარგი იქნება, რომ ვინმე ჩვენებურმა მებატონემ შეიძინოს გოგირდის მოსაყრელი უჯრები, სცადოს და თუ გამოდგება, მერე ვენახის მეპატრონე გლეხებსაც ურჩიოს იმისი მოპოვება. აი როგორს უჯრებს ხმარობენ: უწინ ხმარობდნენ შენის და ფრანკის თუნუქის მილებსა, რომელთაც ძირს ნახვრეტი ჰქონდათ და შიგ გაყრილი იყო ბეწვის ძაფები. მილს გაავსებდნენ გოგირდის ნაფხვენითა და როცა ვაზზე მოყრა უნდოდათ, იმას ანძრევდნენ და ნაფხვენი წმინდათ ეყრებოდა მცენარესა. გოგირდის ვაზზე საყრელათ უფრო კარგი მოწყობილია დელავერნის საბერველი გუდა. ამ გუდაზე მოწყობილია პატარა უჯრა, რომელშიაც ჩაყრიან გოგირდის ნაფხვენსა. როდესაც საბერველით ჩაბერვენ ამ უჯრაში, იქიდგან გამოსცვივა ნაფხვენი მილში, რომელსაც გაკეთებული აქვს საცერი. დელავერნის საცერი გუდა იმითია კარგი, რომ საითაც გინდა, იქით მიაყრი გოგირდს ნაცარსა. რასაკვირველია ვაზებზე გოგირდი მაშინ უნდა მოაყარონ, როცა ზაფხულში ნაცარი ვაზზე გაძლიერებულია. რადღესაც გოგირდს აყრიან, იმ დღეს არც ქარი უნდა იყოს და კიდეც უნდა თბილოდეს. ხარჯს კაცი არ უნდა მოერიდოს, ამიტომ რომ ერთი ფუთი გოგირდი ათ მანეთათ ღირს, და ეს ხარჯი იმ ზარალთან, რასაც ნაცარი აძლევს ვენახის პატრონს გასამხელიც არ არის.

ერთი ჭირი მარგებელიც არის კაცის დასასჯელათ კალიის მოსვლისთანა არა არის რა ქვეყანაზე. მთელი წლის ნაშრომი და ნაღვაწი სოფლისა ერთ დღეს უნდა მოინელოს ამ საძაგელმა სულდგმულმა. კალიის მოსვლა სოფლელისთვის სწორეთ ღვთის რისხვაა, ამიტომ რომ მთელი წლის სარჩოს შეუჭამს და შიმშილობას უქადებს საწყალს გლეხს კაცსა მაგრამ ერთი ჭირი მარგებელია, რომ იტყვიან, აქაც ისეა. გამხმარი კალია ძალიან ასუქებს ცხენსა, ძარღვებს უმრავლებს და მეტის სისუქნითაც არ ამძიმებს: გამხმარი კალია

ქერს ბევრათა სჯობია. შქვილათ რომ აქციო, გამხმარი კალია ძალიან მარგები საჭმელია. ელი (მაწანწალა ხალხი) სპარსეთის მხარისკენ და მისირში უდაბნოებში ძალიან გაიხარებენ ხოლმე, როცა კალია მოვა, ამიტომ რომ ახმობენ, ფქვილათ აქცევენ და მერმე, როგორც პურს ისე აცხობენ და სჭამენ. გამხმარი და ფქვილათ ნაქცევი კალია ძალიან მარგები საჭმელიაო.

ხომ არ გინდათ გასწავლოთ მიწაში წყაროს გამოჩენა? ვისაც უნდა მიწაში წყაროს გამოჩენა, აი როგორ უნდა მოიქცეს. უნდა აიღო სამ-სამი მისხალი წყალდაუსხმელი კირი ქვებათ, გოგირდი, ჟანგარო, თეთრი საკმელი და ქვის როდინში, ან ქვაზე უნდა დანაყო წმინდათ ისე, რომ წყალი არ მოხვდეს; კარგათ აურ-დაურიო, მერე ინგლისის ქოთანში (ანუ ჩინურის ქოთანში) უნდა ჩაჰყარო. ზევიდან ამ ნაფხვენს უნდა დააფინო 15 მისხალი ცხვრის ბეწვი. მერე თავი მაგრათ უნდა დახურო ინგლისის ანუ ჩინურის სახურავითა.

ვისაც ჰსურს, შეიტყოს, არის თუ არა წყარო ამორჩეულს ალაგას მიწის ქვეშ, ან რა სიღრმეზეა, ის აი როგორ უნდა მოიქცეს: დანიშნულს ალაგას ერთ ნახევარ მტკაველზედ უნდა მოსთხაროს მიწა და ჩადგას მომზადებული ქოთანი; მაგრამ მანამ ჩადგამდეს, წინათვე უნდა ასწონოს ეს ქოთანი და ამის წონა დაიხსომოს. მერე ჩადგმენ ამ პატარა ორმოში ქოთანსა და ერთ დღე და ღამეს გააჩერებენ; ეს დრო რომ გავა, ამოიღებენ ორმოდგან ქოთანს და ხელ-ახლა ასწონენ. თუ ცოტაც არის, ქოთანმა წონაზე დაიკლო, მაშინ უნდა იფიქრო, რომ იმ ადგილას მიწის ქვეშ წყარო არ არის და თუ ქოთანმა წონაზე მოიმატა, ეს კარგი ნიშანია: უთუოთ წყალია ამ ალაგას. გამოცდილებით შეუტყვიათ, რომ თუ ქოთანმა წონანდელს წონაზე ექვსი მისხალი მოიმატა, მაშინ მიწის ქვეშ ცხრა საჟენზე წყალია; თუ თორმეტი მისხალი მოიმატა, მაშინ მიწის ქვეშ წყალი შვიდ საჟენ ნახევარზეა; თუ თვრამეტი მისხალი მოიმატა, მაშინ ხუთ საჟენსა და ერთ არშინ სიღრმეზეა; თუ ოც და ოთხი მისხალი მოიმატა მაშინ სამ საჟენზე და ერთ არშინზეა; თუ ოცდა ათი მისხალი მოიმატა, მაშინ ორ საჟენზეა წყალი. ამ რიგათ თუ გინდა სადმე უწყლო ალაგას წყაროს გამოჩენა, ან ეს ამოთხრა, უნდა გქონდეს, როგორც ზემოთ გიჩვენეთ, ისე მომზადებული ქოთნები და ბევრგან უნდა ჩაფლა. ერთ დღე და ღამის გაელის შემდეგ უეჭველათ შეიტყობ, არის თუ არა წყალი იმ ალაგას.

სახალხო მედიცინა (მკურნალობა).

—

გლეხების დარიგება, რომ კარგათ იყონ დათვი მოირჩინონ იმისთანა ავათმყოფობისაგან, რომელიც უფრო ხშირათ ემართებათ ხოლმე.

საუბედუროთ ჩვენმა გლეხმა აქამდის არ იცის, როგორ უნდა იცხოვროს, რომ ყოველთვის კარგათ იყოს: არ იცის რა არგებს და რა აწყენს; აქამდის ვერ შეუტყვია, რომ იმისთვის როგორც პური და წყალი, ისე საჭიროა:

ა) წმინდა ჰაერი.

ბ) როცა დალალულია დაოფლიანი, წყალი არ უნდა დალიოს ან თუ დალიოს ძალიან გაფრთხილებით და ცოტა უნდა დალიოს; როცა ოფლი სდის არც ტანსაცმელი უნდა გაიძროს.

გ) თუ სადმე წვიმამ მოასწრო დასისველემ ძვლებამდის გაატანა, ჩვენებური გლეხი მოვა თუ არა შინა, მაშინვე სველი ნიფხავ-პერანგი უნდა გამოიცვალოს.— „აბა ღმერთი გადღეგრძელებს, იტყვის გლეხი, ჩვენ სადა გვაქვს იმდენი შეძლება, რომ ორი ან სამი ხელი ნიფხავ-პერანგი ვიქონიოთ და ბატონებსავით გამოვიცვალოთ ხოლმე.„ არა, ძმაო. მაგისთანა ლაპარაკი არ გამოდგება. ბევრიც რომ იწვალო, წელიწადში სამი ხელი ნიფხავ-პერანგი მაინც გაგიცვდება; მაგრამ ამ სამ ხელსა ისე იკერავ, რომ მინამ ერთი ხელი ტანზე არ შამოგაცვდება არ მოეშვები, როცა ის დაგეგლიჯება, მერე მეორეს შეიკერავ და მინამ ისიც არ შემოგაცვდება, მესამე ხელზე აღარ ზრუნავ, ცალ-ცალკე კერვასა, იმდენი მოახერხე, რომ სამივე ხელი ნიფხავ-პერანგი ერთათ შეიკერო.— საცვალი ყოველ კვირაში გექნება, წმინდათ ტანს შეინახავ, მკბენარი არ მოგეკარება და აღარც გაცივდები ხოლმე, ამიტომ რომ წვიმაში დასველებულს ნიფხავ-პერანგსა ყოველთვის გამოიცვლი. ერთს წელიწადს ეს სამი ხელი გეყოფა, მაშ უწინდელზე მეტი არც ახლა დაგეხარჯება: მაგრამ სიმთელეზე ძალიან მოიგებ: გაცივებით უფრო აღარ გახდები ავათ და სისუფთავითაც ბევრი შეგემატება ცხოვრებაში.

ერთი ძალიან საჭირო საქმე კიდევ დგერჩა.

ბ) ბლეხისთვის მიუცილებლათ საჭიროა, რომ ნადები ხორცი, დაობებული პური, ან სხვა ცუდი სუნიანი საჭმელი არ სჭამოს. რაც სჭამოს ცოტაც იყოს და უბრალო საჭმელიცა ეგ არა ფერი, მაგრამ ახლათ გაკეთებული და სუფთათ მომზადებული კი უნდა იყოს. ერთის სიტყვითა ყროლებულს და დიდ ხნის საჭმელს უნდა ერიდოს ძლიერ.

როგორ უნდა მოიქცეს გლეხი, რომ წმინდა ჰაერი იქონიოს თავის სადგომში? მინამ ამის პასუხს ვიტყოდე, მე გავიხსენებ, თუ როგორს სახლებში ცხოვრობენ ჩვენი გლეხები. საქართველო დიდი ადგილია: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, მთიულეთი, სამხრეთი და სხვანი.

ამ ადგილებში სულ ქართველი გლეხები ცხოვრობენ. კახეთში და იმერეთში ფიცრული სახლები იციან. ამ ფიცრულს სახლებში კერა არის გაჩაღებული და შინაურს ჰაერს კომლი ახდენს; კომლს გარდა ზოგან, საცა თვითონ გლეხის სახლობა ცხოვრობს, იმ სახლშიავე პირუტყვი უბიათ; სახლის წინ დიდი სანეხვეა. ამისთანა სახლში მეტი გზა არ არის, კარები ხშირათ უნდა გააღონ ხოლმე, რომ კომლიანი და სუნიანი ჰაერი შინიდგან გარეთ გავიდეს და გარედგან წმინდა ჰაერი შინ შემოვიდეს. საქართველოში გლეხები ქართლისთანა ბინძურათ არსად არ ცხოვრობენ. ქართლში ტყე არ არის; ამიტომაც ამოუთხრიათ მიწა და მიწურებში დგანან. ამ მიწის სახლში რომ შეხვიდე სწორეთ მელიას სორო მოგაგონდება. უფრო ბევრს გლეხსა ამ ერთს მიწის სახლში ხბორებიც უბიათ, ქათმებიც შიგ ჰყავთ, აყროლებულ ნარეცხ წყალსაც შიგ ღვრიან; სარეცხსაც იმავე სახლში აშრობენ, თვითონაც სახლობათ შიგ ცხოვრობს და ყველა აეეჯულობაც შიგ უწყვია. სახლის წინ დიდი სანეხვეა გაკეთებული. რა საკვირველია ყველა ამაგისგან ჰაერი ფუჭდება, ასე რომ სახლში გარედამ შესულს კაცსა

წამხდარი ჰაერისგან სული ვერ მოუბრუნებია. აქ არც ჰაერის გაწმენდა შეიძლება იმიტომ რომ მიწის სახლს სარკმელები არა აქვს, რომ გაალო; ერთი კარია გასაღები და მარტო ამ კარიდგან არ შეიძლება წმინდა ჰაერის დაჭერა სადგომში. ამდენი წელია ჩვენი გლეხი ცხოვრობს ამისთანა სიმყრალეში და სიბინძურეში. ის იძახის სივიწროვით არა დაშავდებარაო, ქართველს არა აწყენსრაო, მაგრამ როცა შეადარებ, ჩვენი გლეხების ცხოვრებას და საქართველოში გადმოსახლებულს ნემცების ცხოვრებას, მაშინ მიხვდები, რომ ჩვენი გლეხის ოჯახში სატკივარი, სახადი და სხვა სნეულება ყოველთვის გამოულევლათ არის, ისინი უფრო იხოცებიან; ნემცებს კი არც სატკივარი უდგათ სახლში და არც ისე იხოცებიან. ეს იმიტომ, რომ ნემცები უფრო სუფთათა ცხოვრობენ და უკეთაც გაეგებათ, რა მოუხდებათ და რა აწყენსთ. ვთქვათ ახლა ჩვენი გლეხი მუშაობისგან გაოფლიანდა და დაიღალა. ის კი არა თუ მაშინვე წყლის სმას მოერიდოს, რომ ნაწლევები და ყელი არ გაიცივოს, ან მინამ ოფლი არ შეშრება ზედა ტანისამოსი არ გაიძროს. არა; ის ამისთანა საქმეს არ დასდევს, ამბობს: ეგ არა ფერი, ჩვენ ხომ ბატონები არა ვართ, რომ წყლის სმამ და ჩოხის გახდამ ავათ გაგვხადოსო, (თითქოს ისიც კაცი არ იყოს). იმას რა დიდი საქმე უნდა, რომ როცა გლეხი სამუშაოდგან მოვა, წვიმით გაწკუმპლული, სველი ტან-საცმელი და ფეხ-საცმელი გაიძროს და გაშრეს; არა, ამასაც არაფრათ აგდებს ჩვენი გლეხი. სველი ტან-საცმელი მუდამ ტანზე აცვია, ზოგჯერ არც მაშინ იხდის, როცა დაწვება და სველში სძინავს. რომ ჰკითხო რათა შერები ამასაო, გეტყვის, ერთხელ არ დამმართვია ეგ და ორჯერაო; მე მაგისთანაებს პატარაობითვე შეჩვეული ვარო. (მაგრამ ხშირად კი ამბობს ავათ ვარ, წელი მტკივა, მუხლები მტკივა, თავი მტკივა. ამისთანა ტკივილი სულ გაცივებიდგან წარმოდგება). რა ძნელია რომ მოერიდოს მყრალ საჭმელს; ყოველი ფერი მყრალი ხომ საზიზღარიც არის; მაგრამ არა, გლეხს მყრალი რამე თითქოს გადასაგდებად ენანებაო, თუ მეტადრე ის მყრალი საჭმელი, თევზი, ან ხიზილალაა და ან სხვა ქალაქური საჭმელი რამე,—იმას ის დიდის სიამოვნებითა სჭამს და იმას კი აღარა ფიქრობს, რომ იმ გვარი საჭმელი შერგების მაგიერად მხამად გადაექცევა ხოლმე.

ამ გვარ გაფთხილ ბაზე არა ფიქრობს ჩვენი გლეხი კაცი, ის სულ იმას იძახის „როგორც მამა-პაპას უცხოვრიათ, ისე მე ვიცხოვრებო“ და ამას კი აღარა ფიქრობს, რომ იმ მამა-პაპურ ცხოვრებას იმისთვის მრავალი უბედურება და ზიანი მოაქვს!! მრავალი ავათმყოფობა და საქმისგან მოცდენა; და ამასთან უხერხული და მოუწყობელი ცხოვრება აქვს!! ძალიან შესაბრალებელია ის, რომ არ ესმის ეს თავისი ზარალი და არა ცდილობს თავის ცხოვრების გამჯობინებას! ახლა გაეჩხრიკოთ დი ვსთქვათ თუ რა გამოსდის გლეხ-კაცს თავის უფიქრელი ცხოვრებისაგან. ეს შემდეგისათვის იყოს.

სასოფლო ხალხის ცხოვრებაზე.

მ გ ზ ა ვ რ ო ბ ა.

გაზეთი „დროების“ მკითხველთა უკვე ვიცით, რომ ამ მოკლეს დროში გაიმართა ბევრგან საქართველოში, უმეტესად გორის უეზდში სასოფლო სკოლები, პურის მაღაზიები და სოფლის მოხელენი ცდილობენ თავ-თავის ბანკებიც შეადგინონ სოფლის საჭიროებისათვის. ესეც ვიცით, რომ ამ სამის წლის განმავალობაში ჩვენი გლეხი სულ სხვა კაცი შეიქნაო, გამხნევდა, გაჭკვიანდაო, სოფლის ხალხში ეხლა სიცოცხლე დუღსო; გასაკვირველია საიდგან დაიბადა ამათში ეს სიცოცხლე და ეს გონიერება?! ყმების განთავისუფლებიდამაო.

რასაკვირველია გლეხების განთავისუფლებიდამა, რომელმაც აღმოფხვრა ყოველი უთანხმოება მებატონეთა და გლეხთა შორის საუკუნოდ, მთავრობისა და ხალხის უერთგულესი თანამდებობის პირთაგან, ადგილობრივის მოხელეთა და მებატონეთაგან, რომელთაც სურსთ შემოიტანონ მდაბალ ხალხში სწავლა, განათლება და ხელოვნება სხვა და სხვა გვარი.

ეს ყველა კარგი და პატიოსანი, მაგრამ რასაც ბეჭდავენ „დროებაში“ ნუ თუ სულ მართალი იყოს? დიახაც მართალი და ჭეშმარიტია, უპატივცემულნო მკითხველნო, აი როგორ: ამას წინათ ტფილისიდამ წამოსულნი ქართლში, მე და ჩემთანა მოგზაური, სადაც სოფელში მივიდოდით, იმ სოფლის გლეხ კაცს განგებ ვკითხავდით თქვენში შკოლა არის თქვენი შვილებისათვის სასწავლებელი, პურის მაღაზია გაქვთ? ამის პასუხად ზოგნი თავაზიანად გვიპასუხებდნენ დიახ, გახლავს შკოლაცა და პურის მაღაზიაც, ფულების შეგროვებასაც ვცდილობთ ღვთით, რომ ჩვენი სასოფლო გვქონდეს. ზოგი ამაყად გვეტყოდა რატომ არ გვექნება, ჩვენ ვიზედ რა ნაკლები ვართ; თუ გინდათ ნახეთ.

ასე გამოვიარეთ გზის პირის სოფლები ფოჩტის ეკიპაჟით და მოვედით ს. ხოვლეს; აქ მეორეს დღეს ჩვენმა მასპინძელმა, აქაურმა მებატონემ თავადმა. . . . . თავის კნეინითურთ, წაგვიყვანეს თავმოწონებით ამ სოფლის შკოლების სანახავად მღვდლის, ... სადაც ეს ღირსი მამა ყოვლის პატივისცემისა . . . მოგვეგება სიხარულით წინ და შეგვიწვია შკოლაში, შეგირდებმა დაგვინახეს რა შესულნი, მაშინვე წამოდგნენ ფეხზედ და დაგვიკრეს თავი. ერთ მხარეს ამ ქვიტკირის ძირის სახლში გრძელ სკამზედ მსხდომნი ექვსის წლიდამ თორმეტ წლამდინ გლეხის შვილები კითხულობდნენ კარგათ კაფიათად სამღრთო წერილებს, სამოციქულოს, და დავითნს და პატარებს გაეთავებინათ ანბანი, ზოგნი ამათგანი გაბმით და გარკვევით კითხულობდა ანბანში დაბეჭდილს სხვა და სხვა ამბებს, ზოგნი ამაებსვე ჩათვლით. მართლად რომ ამათი ნახვა სასიამოვნო და საგრძნობელი იყო; სკამებში პატარაებს ამოეყოთ პატარა პირები ღიმილით და სიამოვნებდნენ ისინი ჩვენს მისვლას და ჩვენგან იმათს ალერსს. ამავე სახლში მეორეს მხარეს იდგა სტოლარის (მოხარატეს) დაზგა, ახალი გაკეთებული კამოდი და ჯერ დაუსრულებელი სკამები კაკლისა, მღვდელმა ძაესაძემ გვიანბო თავის მოწაფეთა მახვილ გონიერება და სწავლის ხალისი, ჩემ სიცოცხლეში არა ვარ მნახველი ამ გვარი ბავშვებისაო, წიგნის კითხვას რომ გაათავებენ, დიდრონები ამ ოსტატს შველიან მუშაობასა და პატარები სულ ხელებში შესცქერიან ამათ, თუ როგორ ხმარობენ სადურგლო იარაღსაო.

აქავ მახლობლად მეორეს სახლში შეგვიყვანეს ქალების სასწავლებელ, კომლით გამურულ ოთახში და გვაჩვენეს იმათი ხელ-საქმე და დოსკების მაგიერ ხარის ბეჭზედ დაწერილი მხედრული სიტყვები. ჩვენ მოუწონეთ ამათ ეს სოფლური ხელ საქმე ეგრეთვე ჩვენთან დაწერილი სიტყვები და გამოვეთხოვენით ერთმანეთს მადლობის გარდახდით.

ხოელიდამ წამოსულნი ცხენებით მოვედით ხიდისთავს, აქაური სასოფლო შკოლა, რადგან გზის პირზედ იყო, ამისთვის მოვინდომეთ შეგირდების ნახვა და შეველედით მცირეს ხანს. ამ ნადუქნარ ქვიტკირის დიდ-სახლში, ჩვენ ვნახეთ აქ ორს გრძელ სკამებზედ ისხდნენ თექვსმეტნი გლეხის შვილები, ამათგანი ზოგნი კითხულობდნენ წიგნებსა და ზოგნი იორთქლაედნენ პატარა ხელებს სიცივით მობუზულები და ჩასკქროდნენ ანბანს. ამათმა მასწავლებელმა, აქიურმა ერის კაცმა ბატატაშვილმა თითქმის ბოდიშით გვითხრა, ეხლა ასე ცოტანი იმისთვის არიან, რომ ცეცხლი არ გვინთიაო და სხვანი სიცივისა გამო ვერ დადიანო, შეგირდებმა ანბანი ზოგმა დიდი ხანია გაათავა და ზოგი ეხლა სწავლობს, ძალიან ეხალისებათ სწავლა და წიგნის კითხვაო. ჩვენ ამას მადლობა უთხარით შრომისათვის და შეგირდებს დავპირდით სხვა და სხვა საკითხავ წიგნებს გიჩუქებთო, ამათ სიცილით დაგვიკრეს თავი და გახარებული შაექნათ ჩუჩული ერთმანეთში.

ასე გავათავეთ ამ შკოლის ნახვაც და წამოვედით მეორეს დღეს გორში. ამ სოფლის სუდიამ Ivანე Ამბრიაშვილმა გვნახა და დიდათ ბოდიში მოითხოვა, რომ გუშინ ხიდისთავს გამოვლაზედ არ დაგვესწრო პურის მაღაზიაც ეჩვენებინა, ქვიტკირის მაღაზია დიდი ხანია ისევ ძველად სოფლისაგან გვაქვს აშენებულიო, მაგრამ პური კი ეხლა ორმოებში გვიყრიაო, რადგან მაღაზია ისე სახლად გვეჩრდება, ხან რკინის გზის სალდათებისთვ-ნ, ხან მოსული ჯარისთვის, თითოს დღეს რომ დაესვენებენო; სასოფლო ბანკიცა გვაქსო, ზოგი რკინის გზის ფულია, ზოგი ჩვენ მიუმატეთ და ზოგი შტრაფის (ჯარიმის) ფულია, ვისაც გადავახდევინებთ ამ ფულს მიუმატებთ. სხვათა შორის ლაპარაკში ესეც კი გვიამბო ამ სუდიამ ამბრიაშვილმა, მხიარულადა რომ ხიდისთავიდამ სამი ერის კაცის შვილები ერთი ამისი ძმა, მეორე ამის ამხანაკის სუდიის ბეჭელოვისა და მესამე ოქნუაშვილის შვილი დღეს ტფილისის სემინარიის მეხუთე კლასში სწავლობენო, ჩემ საცხოერებელს სულ ზედ გადავაგებ და ჩემ ძმას ღვთითა და ხელმწიფის წყალობით უმეტეს მაღალ სასწავლებელში გავზდი, რომ კაცი გამოვიდეს და თავის გვარი დაამშვენოსო.

აი მართლა გლეხნი როგორ განსხვავდნენ, გაჭკვიანდნენ, როგორ ზრუნვენ და რას ფიქრობენ მომავალის კეთილ ცხოერებისათვის, თქვენ კი ამას ნუ ბრძანებთ ერთის ყვავილით ზაფხული არ მოვაო, სადაც ერთი გაიშლება, იქ ერთთან ხუთი და ათიც გარდაიშლებაო, ასეა ნათქვამი ძველად და ეხლა მე რაღას ვაგრძელებ ამ მგზავრობას, ზოგი შემდგომ იყოს.

დ. მეღვინეთხუცესოვი.

24 იანვარს 1868 წელსა.

სხვა და სხვა ამბავი.

ფქვილში ღვარძლი ურევიათუ არა— იმის შეტყობა.

ყველა სოფლის მეურნემ კარგად იცის, რომ, როდესაც მოსავალს ავდრიანი ამინდი დაუდგება, მაშინ ყანაში მრავალი უცხო თესლი გამოერევა და ამასთან ის საძაგელი თვისების ღვარძლიც. მოსავლის პატრონი თუ პატიოსანი ვაჭარია, რასაკვირველია გარკვევის დროს გააცლის ხორბალს ამ უცხო თესლსა და მეტადრე ღვარძლს, რომელიც არის კაცისათვის მრავალ გვარად მავნებელი, და არაოდეს არ დაჰფქვავს ფქვილად ღვარძლიან ხორბალს. მაგრამ ზოგიერთნი კი არ დასდევენ ამას, რადგან იმათ სხვის დარღი არა აქვსთ და თავის ჯიბეზედ უფრო ფიქრობენ, (თუმცა ერთი მუჭა ღვარძლი ბევრს ვერ შესძენს ღვარძლიანი პურის პატრონსა); ხორბლს არაოდეს არ გააცლიან ხოლმე ღვარძლს, ისე ჰფქვავენ და ჰყიდიან სხვაზედ. ღვარძლიანი პურის მჭამელს ყველამ იცის რა ენებაც მოსდის. თავი უმძიმდება, როგორც მთვრალს, მუხლები უდუნდება, გულის კოვზის ქვეშ ტკივილი მოსდის და ერთის სიტყვით ისეთი ავათმყოფობა ემართება, რომ სრულებით საქმეს აცდენს და ზოგჯერ უფრო მძიმე ავათ მყოფობად გადაეცევა ხოლმე. მაშ ღვარძლიანი პურის შეტყუება ისეთივე უპატიოსნობა და ცოდვაა, როგორც რამე საწამლავის გაყიდვა კარგის სახელით. ამის გამო უფაქველია პურის მსყიდველისთვის ძალიან სასარგებლო იქნება იცოდეს ის ოსტატობა, რომ ფქვილის ყიდვის დროს ღვარძლიანი ფქვილი არ იყიდოს. ეს ოსტატობა შესდგება ამაში: როდესაც ფქვილს ყიდულობდეს უნდა ცოტა იმ ფქვილისა ჩაჰყაროს ძალიან მაგარ სპირტში და თუ მაშინ ის ფქვილი მოყვითანო ფერს დაეკარგოს, და ვამოც მოტკბო ექნება, მაშინ ფქვილში ღვარძლი არ ერევა; მაგრამ თუ სპირტში ის ფქვილი მომწვანო ფერს მიიღებს და მწკლარტ, უსიამოვნო გემოს, მაშინ უეჭველია ღვარძლ ნარევი იქნება.

შესანიშნავი ამბავი საქონლის ჭირზე.

მრთს ნემეცის სახელმწიფოში, სახელდობ პრუსსიაში, ცხრა წლის განმავლობაში თერთმეტჯერ გაჩნდა საქონლის ჭირი და ყოველთვის ლამოდა სულ ერთიანათ ამოეწყვიტა ამ ქვეყნის საქონელი, მაგრამ ხალხი და პოლიცია ძალიან გაფრხილებული იყო: როგორც კი სადმე გამოჩნდებოდა ჭირით ავათ-მყოფი საქონელი მაშინვე დაჭკლავდნენ. ამ სახით ჭირმა ვერ მოჰფინა ეს მხარე. ცხრა წლის განმავლობაში მოჰკლეს სამიათას ორას ოცდა სამი საქონელი. ამ მოკლულებში მხოლოდ ხუთას ოცდა ცხრამეტი პირუტყვი გამოჩნდა ჭირიანი, დანარჩენი კი ჭირით არ იყო ავათ, მაგრამ რადგან იქვე აეღოთ, იმიტომ გაეწყვეტათ. მოკლულს პირუტყვში მთავრობა ფასს აძლევედა პატრონსა და ამ ნაირათ დაიხარჯა რვა ათას ექვსას ორმოცდა რვა მანეთი. სხვა განათლებულს ქვეყნებშიაც, მაგალითად ანგლიაში და ლოლანდიაშიაც იყო საქონლის ჭირი და რადგან პოლიციას იქ ისეთი თვალყური არ სკერია, ამის გამო ერთს ჭირიანობაზე იმდენი საქონელი გასწყდა, რომ თერთმეტი მილიონი იზარალეს. ჭართლში და კახეთშიაც ძალიან მოელილია საქონლის ჭირი. რა კარგი იქნება, რომ სოფლებში პირობას დასდებდნენ, ვისაც საქონელი ავათ გაუხდეს, თუ კი რომ საეჭვოა, მაშინვე მოჰკლან. ამით დიდი ზარალი რომ არ მიეცეს პატრონსა მთელმა სოფელმა გადაუხადოს, თუ მთელი ფასი არა, ნახევარი მაინცა; ამით მთელს სოფელს იმდენი არა დაეკლდებოდა რა და ძალიანაც ისარგებლებდა იმითი, რომ ჭირი არ გავრცელდებოდა. ასეა, ჩემო ძმაო, როცა საზოგადო რამ სენი მოგველინოს, მაშინ ყველა ერთი ერთმანეთს უნდა მოეხმაროს, რომ ერთად იხსნათ თავი ჭირისგან, თორემ თუ ყველა ფეხმოკეცილი დაჯდა სახლში საზოგადო გაჭირვების დროს, მაშინ სათითოოერთ ყველას გაუჭირდება და თითოეულიც ზარალში ჩავარდება.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19-го февраля 1868 г. ს. მელიქიშვილის და კომ. სტამბაში.

რედაქტორი და გამომცემელი ბ. წერეთელი.